ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №614840

ნომერი: AR1116818

თარიღი : 15.03.2013

გაცემის თარიღი : 29.03.2013

გაცნობის თარიღი : 18.06.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკ. წერეთელი , N 50-52 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან აფციაური პ/ნ 01019000173
- თბილისი ს.მგალობლიშვილის ქ. N 3 ბ. 35

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი
- IV კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მერაბ ბოლქვაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ომარ ჯაფარიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ორიონი" (რეაბილიტაციის მმართველი შპს "eurocon")
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: შპს "ორიონი" ს/კ 200173169 შპს "eurocon" ს/კ 404908481
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს "ორიონი" (რეაბილიტაციის მმართველი შპს "eurocon")
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: შპს "ორიონი" ს/კ 200173169 შპს "eurocon" ს/კ 404908481 (ლევან აფციაური

01019000173)
.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 01/938
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 20.07.2009

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 01/938
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 20.07.2009

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

15.03.13 წლის AR1116818 განცხადებით წარმოდგენილი მასალის განხილვის შედეგად მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რაც მდგომარეობს შემდეგში:

1.მოთხოვნის შინაარსი. -> .მოთხოვნის ტექსტი.: გაშვებული ვადის აღდგენა ვერ მოხდება შემდეგი გარემოების გათვალისწინებით: მას შემდეგ რაც განისაზღვრა რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილება (2013 წლის 21 თებერვალი) და აღმოიფხვრა დაუძლეველი ძალა, არქიტექტურის სამსახურისთვის გაშვებული ვადის აღდგენის მოთხოვნით უფლებამოსილ პირს უნდა მოემართა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94–ე მუხლით დადგენილი 15 დღიანი ვადის დაცვით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადის გამოთვლისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-69-ე მუხლებით დადგენილი წესი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. დაინტერესებული მხარე გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნული გარემოებათა აღმოფხვრიდან არა უგვიანეს 15 დღისა. განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ადასტურებენ ვადის გაშვების საპატიო საფუძვლის არსებობას. აღნიშნული ნორმის იმპერატიული მოთხოვნა განმცხადებლის მხრიდან არ არის დაცული, რაც გამოიხატება იმაში, რომ გაშვებულია ზემოაღნიშნული ვადაც. შესაბამისად სამსახური ამ მიმართულებით განმცხადებლის მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.
2."მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის მოშენების ფართობის რიცხვითი მაჩვენებელი: ვინაიდან მშენებლობის ნებართვას გასული აქვს მოქმედების ვადა, უნდა მიუთითოთ მოსაკრებლის მოშენების ფართობის რიცხვითი მაჩვენებელი და შესაბამისად გადახდილი უნდა იქნას მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი
3.საინფორმაციო დაფა - ბანერი. -> .საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსების დამადასტურებელი ფოტოსურათი, გადაღებული ახლო და შორი მანძილიდან;
4.სატიტულო ინფორმაცია. -> .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: მიუთითეთ საპროექტო ორგანიზაცია, ქვედა ველში საპროექტო ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი
5.მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.: კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილია შენობის დასრულებაზე, ხოლო არქიტექტურული პროექტი შეთანხმებულია ფასადების გარეშე, ნულოვან ნიშნულამდე.

აქვე გაცნობებთ, რომ ვინაიდან საპროექტო ობიექტი შეთანხმებულია ფასადების გარეშე, უნდა წარმოადგინოთ გადამუშავებული ფასადები და საკითხი უნდა დააყენოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.